პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 ივნისი, ხუთშაბათი, 1986 წ.
№ 124 (9215) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ყრილობაზე ითქვა:

„საჭიროა მკვეთრად გავაუმჯობესოთ ტურისტულ-საექსკურსიო მუშაობა, გავაძლიეროთ მისი შემეცნებითი და აღმზრდელობითი როლი. სერიოზულად უნდა გარდაიქმნას საქართველოს პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო“.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მასალებიდან.

# რით ვიწონებთ თავს?



ჩვენმა რესპუბლიკამ კარგა ხანია გაითქვა სახელი, როგორც ტურიზმის ქვეყანამ. ამაში უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვის ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს. „დასვენების ინდუსტრიის“ შესაქმნელად უამრავი რამ გაკეთდა, ბევრიც დაგეგმილია და ამ ხუთწლედში განხორციელდება.

დასვენება, ფიზკულტურა და სპორტი განუყოფელი ცნებებია. ასე ერთად, განუყოფლად არიან ისინი წარმოდგენილი იმ დოკუმენტებშიც, სადაც კონკრეტულად არის განსაზღვრული, რა ევალებათ დამსვენებელთა მომსახურების ობიექტებს.

დღეს რამდენიმე რეგიონის ტურისტულ კერაზე გესაუბრებით.

### ის, რაც თვალს ახარებს, რითაც დამსვენებელი კმაყოფილი რჩება.

რესპუბლიკის ბევრ ტურისტულ ბაზასა და სასტუმროში სამაგალითოდ არის მოგვარებული ტურისტთა მიღება-დასვენების საქმე. ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი მუშაობაც კარგადაა ორგანიზებული. განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან ქვეით ტურიზმს — ყველას ხიბლავს ჩვენი თვალწარმტაცი ბუნება. მუდამ ხალხმრავლობაა თბილისში, დილმის ტურისტული ბაზის საცურაო აუზზე, რომელიც მშვენივრადაა მოვლილი. სამხრეთ ოსეთის ტურისტულ ბაზა „ჭავაში“, რომელიც ოჯახებისთვის არის განკუთვნილი, სამაგალითოდაა ორგანიზებული ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა (ახლო მომავალში ამის შესახებ ცალკე წერილს შემოგთავაზებთ). დამსვენებლები კმაყოფილი არიან ფასანაურის ტურისტული ბაზის სპორტული მოედნების მომსახურებით. თბილისის ტურისტული სასტუმრო „ვაკე“ ჩინებულად იყენებს საცხენოსნო ტურიზმის შესაძლებლობებს. აქ ხშირად იწვევენ ჩვენს ცნობილ მოჭადრაკეებს ერთდროული სეანსის ჩასატარებლად. ალბათ ამიტომაც, ჭადრაკი დამსვენებელთა შორის დიდად პოპულარულია. „დილომში“ აწყობენ ცნობილ ქართველ ფეხბურთელთა შეხვედრებს ტურისტებთან. ლაგოდეხის ტურისტული ბაზა „კავკასიონისა“ და სიღნაღის „ამირანის“ დამსვენებლები გატაცებით თამაშობენ ბადმინტონს. სინანულით შევნიშნავთ, რომ ასეთი „ცალმხრივი“ გატაცება, ასე ვთქვათ, გაჭირვებისაა — სხვა შესაძლებლობები ან არ არის, ან არის, მაგრამ ვერ იყენებენ.

### რას არ ვაკეთებთ, რას არ ვიყენებთ და რას ვაკლებთ დამსვენებლებს.

ამ ერთი თვის წინათ თბილისში ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს გაფართოებული სხდომა ჩატარდა. დღის წესრიგში იყო ტურისტულ-საექსკურსიო ორგანიზაციების ამოცანები სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნებთან და „საქართველოში ტურიზმის განვითარებისა და ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ რესპუბლიკის საdირექტივო ორგანოების დადგენილებასთან დაკავშირებით. გაფართოებულ სხდომაზე ხაზგასმით ითქვა, რომ რესპუბლიკის ტურისტულ კერებში ჯერ კიდევ არ დგას სათანადო დონეზე დამსვენებელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. ეს თვითკრიტიკული შენიშვნა მიღებულ დადგენილებაშიც აისახა.

მას შემდეგ, როგორც უკვე ვთქვით, ერთი თვე გავიდა. გაფართოებულ სხდომას ესწრებოდნენ რესპუბლიკის ყველა ტურისტული ობიექტის ხელმძღვანელები. სადაც წესი და რიგია, მათ ადგილებზე დაბრუნების დღიდანვე უნდა ეზრუნათ მუშაობის გარდაქმნისთვის, მით უმეტეს, რომ აქტიური ტურისტული სეზონი ის-ის იყო იწყებოდა. სამწუხაროა, მაგრამ უთქმელობა არ შეიძლება: სადაც მივედით, ყველგან ერთნაირი გულგრილობა დაგვხვდა. კონკრეტულად რა გვაქვს მხედველობაში? ლაგოდეხის ტურბაზა „კავკასიონში“ (დირექტორი ლ. ივანოვი) 22 ივნისისთვის (სეზონი გახსნეს 17 თებერვალს) გაწმენდილი არ იყო ფრენბურთისა და ბადმინტონის მოედნები, არა აქვთ სპორტული ინვენტარი (ფრენბურთის ბურთები, მაგიდის ჩოგბურთისა და ბადმინტონის ინვენტარიც კი), დამსვენებლებს ხთავაზობენ ტურისტულ საჭურველს და ეს აღჭურვილობაც ძალზე ღარიბულია. იმ დღეს 15 საათზე დაგეგმილი იყო სპორტულ-გასართობი ღონისძიებები, მაგრამ... ირგვლივ სრული სიწყნარე გამეფებულიყო. ასეთი გულგრილობა მით უფრო დამაფიქრებელია, რომ იქვეა რაიონული ცენტრის შესანიშნავი სტადიონი, რომელსაც ტურბაზისგან მხოლოდ საერთო ღობე ყოფს.

არავითარი სპორტული ობიექტი არ გააჩნია სიღნაღის ტურისტულ სასტუმრო „ამირანს“ (დირექტორი ლ. მირიანაშვილი). იგი უკვე ათი წელია ემსახურება ტურისტებს. მაშ ვინ დაიჯერებს, რომ ამ ხნის განმავლობაში მოინდომეს და თუნდაც ერთი მარტივი სპორტული მოედანი ვერ მოაწყვეს? აქ ხუთი ჩოგბურთის მაგიდა აქვთ და სამი მწყობრიდანაა გამოსული. „დილომში“ ორი ჩოგბურთის მაგიდიდან ერთია ვარგისი. სპორტულ მოედანზე იშვიათად ნახავთ დამსვენებლებს, რადგან მათ გართობაზე სერიოზულად არავინ ზრუნავს. „ვაკეს“ არავითარი სპორტული მოედანი არ გააჩნია, არც მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო ადგილი აქვთ. ახლო მომავალში გამოუყენებელი სათავსების ხარჯზე აქ მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის რამდენიმე კაბინეტი ამუშავდება.

დამსვენებლები ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს მოკლებულნი არიან ახალი ათონის ტურისტულ ბაზაშიც, სადაც არც ერთი სპორტული მოედანი არ არის.

ზემოჩამოთვლილი ობიექტებიდან ტურისტებისთვის არსად არ ატარებენ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს, რაც სავალდებულოა და რისი შესაძლებლობებიც ყველგან არის. არსად არ აბარებინებენ დამსვენებლებს მშდ კომპლექსის ნორმატივებს, არ აწყობენ „სსრ კავშირის ტურისტის“ სამკერდე ნიშნის მოთხოვნების შესაბამის ლაშქრობებს (ეს ღონისძიებებიც სავალდებულოა ტურისტული ობიექტებისთვის).

შეიძლება ვინმემ გაიოცოს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: არც ერთ ტურბაზაში და ტურისტულ სასტუმროში ადგილზე არ დაგვხვდა ფიზკულტურის შტატიანი ინსტრუქტორი. ზოგან ფიზკულტურის ინსტრუქტორები შეთავსებით მუშაობენ („ბორჯომი“), ზოგან ინსტრუქტორი არასპეციალისტია („კავკასიონი“), ზოგან კი სხვა საქმე აქვს დავალებული („დილომი“), იქნებ აქ უნდა ვეძიოთ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისადმი უყურადღებობის სათავე, მაგრამ ერთის გათვალისწინებით — პასუხი, პირველ ყოვლისა, თვით ტურისტული ბაზის თუ ტურისტული სასტუმროს დირექტორს უნდა მოვთხოვოთ. სამწუხაროა, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელები და ზემდგომი ორგანიზაციების ინსპექტორები ვერ ამჩნევენ, რა უწესრიგოდ და თვითნებურად ივსება კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ერთიანი ჟურნალი. ქაღალდმთხზველობა და ქაღალდზე მუშაობით თავის მოწონება ამაზე შორს ალბათ ველარ წავა.

ყველამ იცის: ტერმინი „ტურისტული მომსახურება“ თანამედროვე გაგებით სერვისს, დამსვენებლებზე კომპლექსურ ზრუნვას გულისხმობს. სერვისი და მომსახურება კი ჩვენი ღირსების საქმეა. მაგრამ ტურბაზებშიც კი თვით ტურიზმი ექსკურსიად გადაიქცა. საწოლების რაოდენობით თავის მოწონება, მხოლოდ დასაძინებელი ადგილის გამოყოფა, ექსკურსიები, თუნდაც ამით გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებდეთ, საქმეს არ შველის. არავისა აქვს უფლება, უგულებელყოს უპირველესი საზრუნავი — ადამიანთა კეთილდღეობაზე, მათ აქტიურ გართობა-დასვენებაზე, ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

ვფიქრობთ, ამ სფეროშიც დადგა მუშაობის გარდაქმნის დრო.

# საქართველოს IX სპარტაკიადა

## მდგომარეობა 25 ივნისისათვის

| | |
|---|---|
| **I ჯგუფი** | |
| 1. თბილისი — | 14 179.5 |
| 2. ქუთაისი — | 7 821 |
| 3. აფხაზეთი — | 6 541 |
| 4. აჭარა — | 5 085.5 |
| 5. რუსთავი — | 3176.6 |
| 6. სამხ. ოსეთი — | 1 120.5 |
| **II ჯგუფი** | |
| 1. ფოთი — | 2 324 |
| 2. გორი — | 1 047.5 |
| 3. წყალტუბო — | 841.5 |
| 4. ზუგდიდი | 598.5 |
| 5. ტყიბული | 562.5 |
| 6. ჭიათურა — | 407.5 |
| 7. მარნეული — | 34 |
| **III ჯგუფი** | |
| 1. მცხეთა — | 826 |
| 2. სამტრედია — | 638 |
| 3. მახარაძე — | 626.5 |
| 4. ზუგდიდი— | 530 |
| 5. ზესტაფონი | 461.5 |
| 6. თელავი — | 405.5 |
| 7. კასპი — | 396 |
| 8. ახალციხე — | 368 |
| 9. საგარეჯო — | 348.5 |
| 10. ახმეტა — | 308 |
| 11. დუშეთი — | 307 |
| 12. ცხაკაია — | 306 |
| 13. გარდაბანი — | 286.5 |
| 14. გორი — | 254.5 |
| 15. თერჯოლა — | 190.5 |
| 16. მესტია — | 188.5 |
| 17. საჩხერე — | 186 |
| 18. ვანი — | 180 |
| 19. ქარელი — | 166 |
| 20. ონი — | 154 |
| 21. ბორჯომი — | 149.5 |
| 22. ჩოხატაური — | 143 |
| 23. ხობი — | 140 |
| 24. ბოლნისი — | 136 |
| 25. მაიაკოვსკი — | 120 |
| 26. ყვარელი — | 114 |
| 27. ლაგოდეხი — | 113 |
| 28. ხაშური — | 72.6 |
| 29. დმანისი — | 72 |
| 30. წითელწყარო — | 63 |
| 31. გურჯაანი — | 59.9 |
| 32. ლენტეხი — | 52.5 |
| 33. წულუკიძე — | 52 |
| 34. ჩხოროწყუ — | 44 |
| 35. ორჯონიკიძე — | 42.6 |
| 36. ამბროლაური — | 30 |
| 37. გეგეჭკორი — | 14 |
| 38. სიღნაღი — | 14 |
| 39. ადიგენი — | 7 |
| 40. აბაშა — | 6 |
| 41. წალენჯიხა — | 5.5 |
| 42. თიანეთი — | 5 |
| 43. ლანჩხუთი — | 0 |
| 44. წალკა — | 0 |

### ნანა ალექსანდრია მეორე იყო

ქალაქ პეტრკუვ-ტრიბუნალსკში (პოლონეთი) დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 14 მოჭადრაკე 6 ქვეყნიდან. 9 ქულით I ადგილი დაიკავა ჩინელმა დიდოსტატმა ლიუ შილანმა. 8 ქულით II ადგილზე გავიდა ჩვენი დიდოსტატი ნანა ალექსანდრია.

მასპინძელთა დიდოსტატმა კრისტინა რაძიკოვსკამ მხოლოდ 3,5 ქულა დააგროვა და XII ადგილზე აღმოჩნდა.

### დიდოსტატ ვაჟებსაც აჯობა

ამ ბოლო დროს ცნობილი უნგრელი საერთაშორისო ოსტატი, 17 წლის ჟუჟა პოლგარი დიდი წარმატებით მონაწილეობს ვაჟთა ტურნირებში.

ამას წინათ მოჭადრაკე ქალმა III ადგილი დაიკავა უნგრეთის ვაჟთა ჩემპიონატში, ახლა კი ალბენას (ბულგარეთი) ვაჟთა საერთაშორისო ტურნირშიც გაიმარჯვა. ეს შეჯიბრება, რომელშიც სამი დიდოსტატი და რამდენიმე საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა, შვეიცარიული სისტემით ჩატარდა (9 ტური). პოლგარმა 7,5 ქულა მოაგროვა. 6,5-6,5 ქულით II-III ადგილები გაიყვეს თბილისელმა დიდოსტატმა გენადი ზაიჩიკმა და საერთაშორისო ოსტატმა სილვიო დანაილოვმა (ბულგარეთი).

### 1 სექტემბრიდან რიგაში

ფიდე-ს გადაწყვეტილებით მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩი ანდრეი სოკოლოვსა და არტურ იუსუპოვს (ორივე — სსრ კავშირი) შორის გაიმართება რიგაში, სტარტის დღეა 1 სექტემბერი. მეტოქეებმა 14 პარტიაში უნდა გაარკვიონ ურთიერთობა.

ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული დიდოსტატი 1987 წლის თებერვალში შეხვდება კასპაროვ-კარპოვის მატჩ-რევანშში დამარცხებულს. აქ გამარჯვებული პრეტენდენტი კი იმავე წლის მიწურულს მსოფლიო ჩემპიონს შეხვდება.

### სსრ კავშირის მოფარიკავეთა ჩემპიონატზე

ლენინგრადი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი დაშნით ფარიკაობაში 20 წლის მოსკოველმა სერგეი კოსტარიოვმა მოიპოვა. მსოფლიოს ჩემპიონი იუნიორთა შორის პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მოზრდილებში. ფინალში კოსტარიოვმა თანაქალაქელი ანდრეი შუვალოვი დაამარცხა — 12:11.

ხმლით მოფარიკავეთა ტურნირში ჯადამწყვეტ ეტაპზე 4 კოლექტივი — მოსკოვის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და საქართველოს ნაკრები გუნდები იბრძოდნენ. ფინალში მონაწილეობის უფლება მოსკოვისა და რუსეთის ფედერაციის მოფარიკავეებმა მოიპოვეს. გაიმარჯვა დედაქალაქის ნაკრებმა — 9:5, საქართველოს სპორტსმენებმა მესამე ადგილისთვის ბრძოლა უკრაინელებთან დათმეს და მეოთხე ადგილზე გავიდნენ.

### ელტა-ინფორმაცია

### ნინო სალუქვაძის მეორე „ბრინჯაო“

მოსკოვში, გუშინ საღამოს მიტიშჩის ოლიმპიურ სასროლეთზე დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ამ შეჯიბრებაში კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 17 წლის ნინო სალუქვაძემ, ამჯერად ოლიმპიურ მპ-5 ვარჯიშში. მან 600 შესაძლებლიდან 588 ქულა მოაგროვა. გამარჯვება მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ტატიანა ტურიშჩევამ მოიპოვა, რომელმაც დამატებით სერიებში აჯობა როსტოველ მარინა დობრანჩევას. ძირითად სერიებში ამ ორივე სპორტსმენს 594-594 ქულა ჰქონდა.

MEXICO86

ჩემპიონატის ახალი ამბები — იხ. მე-3 გვ.
ქართველი ფეხბურთელები მექსიკაში — იხ. მე-3 გვ.
ფოტორეპორტაჟი მექსიკიდან — იხ. მე-4 გვ.

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „და წვიმა... ბილიკებს შლის“

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, სადაც ის ფაქტიც იყო აღნიშნული, რომ საქართველოს IX რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გამართული მძლეოსანთა შეჯიბრება თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შეფერხდა — ახალი მძლეოსნური ბილიკები უხარისხოდაა დაგებული.

როგორც გუშინ საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტიდან გვაცნობეს, მიღებულია ოპერატიული ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. მიუხედავად იმისა, რომ „დინამოს“ სტადიონზე მძლეოსნური ბილიკების დაგება 2 წელი გაგრძელდა, მიმღებმა კომისიამ იგი უვარგისად სცნო. სპორტსახკომმა მკაცრად მოსთხოვა „დინამოს“ ხელმძღვანელობას, კერძოდ, საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ნ. გვახარიას, ამავე საბჭოს კაპმშენებლობისა და სპორტული ნაგებობების განყოფილების უფროსს თ. სიხორდიას, რომ ისინი პირადად აგებენ პასუხს ბილიკების დაგებისას დაშვებული დეფექტების გამოსწორებაზე. თავის მხრივ ნ. გვახარიამ და თ. სიხორდიამ, მიიღეს რა სათანადო მითითება, განაცხადეს, რომ დამატებითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ „დინამოს“ სტდიონის ბილიკები მიმდინარე წლის აგვისტოსთვის სრულ წესრიგში იქნება.

რედაქცია ითვალისწინებს რესპუბლიკის ამ უპირველესი სპორტული ბაზის მნიშვნელობას, მისდამი წაყენებულ გაზრდილ მოთხოვნებს და გადაწყვიტა კონტროლზე აიყვანოს „დინამოს“ სტადიონზე მძლეოსნური ბილიკების სრული მოწესრიგების საკითხი.

ბიბლიოთეკა

## საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის წინ

# ყველაზე ახალგაზრდული

**თბილისის ჩოგბურთის სასახლეში, სადაც ახლა ჩვენი რესპუბლიკის ბადმინტონისტთა ნაკრები ემზადება, გაღებული კარებიდან ხანდახან ორპირი ქარი იჭრება და მაშინ სპორტსმენებს ეძლევათ საშუალება სული მოითქვან. ოთხ ბადესთან წყვილ-წყვილად თუ ცალ-ცალკე თითქმის მთელი გუნდი ვარჯიშობს. თეთრფრთიანი ბურთი შხუილით დაფრინავს აქეთ-იქით...**



**ბატის** ბუმბულისგან დამზადებული საძილე ტომრები შეუცვლელია მთამსვლელებისათვის, ხოლო მის ცხიმს არაერთხელ უხსნია ისინი მოყინულობისაგან. ბატის ფრთები რომ არა, ვინ იცის, დაიბადებოდა თუ არა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თამაში, რომელსაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათი და მეტი საუკუნის წინათ თამაშობდნენ. თუმცა მაშინ ბატის ფრთებს უფრო ეკონომიურად ხმარობდნენ — სამი ოთხი ფრთით აწყობდნენ ვოლანს. დღეს ერთი ვოლანის დასამზადებლად ბატ-ნახევარია საჭირო. ეს იმიტომ, რომ ვოლანისთვის ყველა ფრთა არ გამოდგება (ვარგისია მხოლოდ მეხუთედან მეთერთმეტის ჩათვლით). ბოლო ხანს ვოლანებს პლასტმასისაგან აკეთებენ, მაგრამ ამან ბატები მაინც ვერ გაათავისუფლა სპორტის სამსახურისგან, რადგან ხელოვნური ვოლანები ჯერჯერობით ვერ შეედრება ბატის ფრთით აწყობილს. ამ განსხვავების შესახებ შემთხვევით არ ჩამოგვიგდია სიტყვა, ამაზე ქვემოთ...

—დააგვიანე, ალა! — გასძახა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ლევან ქურხაშვილმა ერთ-ერთ გოგონას.

იქვე გრძელ სკამზე ვსხდებით.

— ბედს ვერ დაემდურებით, მშვენიერი სავარჯიშო პირობები გაქვთ, — ვეუბნები მე ლევანს.

— აი მთელ წელიწადს რომ ასეთ დარბაზში გვავარჯიშა... ოცნების კილო გაერია ხმაში ჩემს თანამოსაუბრეს.

**● სულ რამდენი ბადმინტონისტი გაემგზავრება მინსკში ჩვენი რესპუბლიკიდან და ვისი იმედი უნდა გვქონდეს ამ შეჯიბრებაში?**

— ნაკრებში იქნება ოთხი ქალიშვილი და ამდენივე ვაჟი. გუნდის ლიდერია თბილისელი სპორტის ოსტატი დავით კავილაძე. ერთეულთა თანრიგში იგი რვა უძლიერესს შორის უნდა მოხვდეს. შეიძლება წყვილთა შეჯიბრებაშიც რომელიმე საპრიზო ადგილი დაიკავოს. დათოს გარდა ნაკრების კანდიდატები არიან თბილისელი გია ენუქიძე, იგორ იურაევი, ალა არშუკოვა, ტატიანა ბიბილევა; ბათუმიდან — სპორტის ოსტატი ინგა ბერიძე, მაია დარჩია, მალხაზ მჟავია; ქუთაისიდან გია ჯანელიძე. ირინე ბუხაიძე და ირმა ჩხეტია. თერთმეტი გამოვიდა. ვინ დარჩება შინ, ამას მოგვიანებით გადავწყვეტთ.

ბადმინტონისტებმა ვარჯიში შეცვალეს — თითოეულ ვაჟს ორ-ორი გოგონა ეთამაშება. ვოლანმა უფრო სწრაფად დაიწყო ფრენა. მწვრთნელები დროდადრო შენიშვნებს აძლევენ სპორტსმენებს.



**● თქვენს გარდა ვინ მუშაობს ნაკრების წევრებთან?**

— თბილისელები ივანე ჩარბაძე და იური ბარხუდაროვი, ქუთაისელი ოთარ აბზიანიძე და ბათუმელი ვიქტორ მილიუტინი.

— მაჯა! მაჯა გაამაგრე დარტყმის დროს, — კვლავ ერთი წუთით ვაიწყდები ლევანს...

**● რამე ხომ არ გიშლით ხელს სპარტაკიადისთვის მზადებაში?**

— ჩვენ იმ სტუდენტებს ვგავართ, გამოცდის დრო რომ მოახლოვდება და მაშინ დაფაცურდებიან — ღამეებს ათენებენ. საქმე ისაა, რომ ნაკრები სულ თვე-ნახევარია შეიკრიბა. ჩოგბურთის დარბაზი დაგვითმეს სავარჯიშოდ. მანამდე, სიმართლე გითხრათ, არ გვილხინდა — თბილისის უნივერსიტეტის დარბაზში, სადაც თბილისელი სპორტსმენები ვარჯიშობენ, არ არის სრულყოფილი წვრთნისთვის აუცილებელი პირობები. ფორსირებული მზადებით კი ძნელია დანაკარგის ანაზღაურება. ისიც სათქმელია, რომ ბადმინტონს ჩვენში საკმაო ყურადღება არ ექცევა. ფიზკულტურის ინსტიტუტი ათი წელია ამ სახეობის სპეციალისტებს აღარ უშვებს. ჩვენს მწვრთნელებში მარტო მე მაქვს ინსტიტუტი ამ სპეციალობით დამთავრებული. ყველაფერმა ამან ცალ-ცალკე და ერთად ის გამოიწვია, რომ ბადმინტონისტები დაგვეფანტნენ. სასპარტაკიადო ასაკის სპორტსმენებიდან ფაქტობრივად მხოლოდ ერთი (!) სპორტსმენი — დათო კავილაძე შემოგვრჩა. ამის გამო ჩვენი რესპუბლიკის გუნდი ყველაზე ახალგაზრდული იქნება სპარტაკიადაზე.

ბადმინტონისტების გვერდით დარბაზში საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრების წევრები ვარჯიშობენ. იმ დღეს გოგონებს მეცადინეობა უკვე დაემთავრებინათ. ერთ-ერთს ცალი თითით პიანინოზე საგულდაგულოდ გამოჰყავდა რომელიღაც მელოდია. ბადმინტონისტმა ბიჭებმა გასძახეს, ხელს ნუ გვიშლიო, და გოგონამაც უსიტყვოდ დატოვა „სცენა“. ყველას გაგვეცინა.

— აქ ისე შევეჩვიეთ მუსიკის თანხლებით ვარჯიშს, უამისოდ ალბათ ძალიან გაგვიჭირდება სპარტაკიადაზე, — სიცილით თქვა ლევანმა და განაგრძო: პრობლემებზე ვლაპარაკობდით. დღესდღეობით ჩვენთვის ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ბატის ფრთის ვოლანები არა გვაქვს.



**● რა განსხვავებაა ბატის ფრთისა და პლასტმასის ვოლანს შორის?**

— ბატისფრთიანი უფრო სწრაფია, მისი საწყისი სიჩქარე, მოგეხსენებათ, 256 კილომეტრს უდრის. მაგრამ ეს არ არის მთავარი. ბატის ფრთის ვოლანი, მოულოდნელად, ვერტიკალურად ვარდება, პლასტმასისა კი ტრაექტორიას აკეთებს. ასე რომ, თუ დროზე არ შევაჩვიეთ ჩვენი სპორტსმენები ბატის ფრთიანი ვოლანით თამაშს, სპარტაკიადაზე გაგვიჭირდება, სხვათაშორის, ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში, ბატებისთვის საგანგებო ფერმები აქვთ, რომ ვოლანის დამამზადებელი ფირმები ფრთებით მოამარაგონ.

**● კიდევ ერთი შეკითხვა და ამით დავამთავროთ დღევანდელი საუბარი.**

— ალბათ მკითხავთ: რომელ ადგილზე გასვლას ვვარაუდობთ სპარტაკიადაზე. ეს შეკითხვა წლევანდელს კი არა, შემდეგ სპარტაკიადას რომ ეხებოდეს, უფრო ოპტიმისტურ პასუხს გაგცემდით, რადგან ჩვენი გუნდის წევრები სწორედ მაშინ იქნებიან სასპარტაკიადო ასაკისა. თუმცა წელსაც არ ვაპირებთ მხოლოდ მინსკის ღირსშესანიშნაობებით დატკბობას, ვფიქრობთ მერვე ადგილი მაინც უნდა დავიკავოთ.

**ჯემალ კახრაძე.**

---

**საქართველოს IX სპარტაკიადა — მშვილდოსნობა**

# ბურთის შიშით...

**საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით მშვილდოსანთა შეჯიბრება ანგისის საფეხბურთო მინდორზე გაიმართა. მასპინძლებმა, ასპარეზობის ორგანიზატორებმა, აჭარის სპორტკომიტეტის მუშაკებმა თავი არ დაზოგეს, რომ შეჯიბრება მართლაც საუკეთესო პირობებში ჩატარებულიყო. ასპარეზობას ამინდიც მეტად ხელსაყრელი დაემთხვა. ერთი სიტყვით, მშვილდოსნებს საშუალება მიეცათ სრულად ეჩვენებინათ თავიანთი ძალა და შესაძლებლობა.**

კარგად ჩატარებული რესპუბლიკური შეჯიბრება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენი სპორტის ამა თუ იმ სახეობის საჭირბოროტო პრობლემებსაც ნათლად გამოაჩენს ხოლმე. ამ მხრივ გამონაკლისი არც ანგისაში გამართული ტურნირი ყოფილა.

დასაწყისისთვის გუნდური პირველობის შედეგები მიმოვიხილოთ. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი — 371 ქულა; 2. აჭარა — 220; 3. აფხაზეთი — 61, ქუთაისი — 0; მათ გარდა, შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ ზუგდიდელი სპორტსმენები: იქ მშვილდოსნობა ახლა იკიდებს ფეხს და ამიტომ სხვებთან გატოლებას თვითონაც ნაადრევად თვლიან.

ზემოთ მოყვანილი შედეგებიდან, ყველაზე საგანგაშო, ცხადია ქუთაისელთა „ნული“ გახლავთ — ვერც ერთმა ქუთაისელმა მშვილდოსანმა ვერ მიიღო ჩათვლა (სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი). არადა, ლაპარაკია სწორედ იმ ქალაქის გუნდზე, რომელმაც საქართველოს ნაკრებს ბევრი შესანიშნავი მშვილდოსანი აღუზარდა. დავასახელოთ ქეთევან ლოსაბერიძე, გუგული რიჟამაძე, აგრეთვე ელდარ არველაძე, გოდერძი სოხაძე, თამაზ კვანტრიშვილი...

ქუთაისში 27 წლის მანძილზე ნაყოფიერად შრომობდა მწვრთნელი შალვა ჯაშიაშვილი. მის ენთუზიაზმს ვერც ვიწრო, მოუხერხებელი ბაზა ანელებდა, ვერც ის, რომ დამხმარე არავინ ჰყავდა, ვერც ის, რომ კარგი მშვილდი და ისარი ყოველთვის ძნელი საშოვნელი იყო. იგი ახლაც ავარჯიშებს სპორტსმენებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც მშვილდოსანთა ბაზა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დარბაზიდან საცურაო აუზზე (!) გადაიტანეს, მუშაობა კიდევ უფრო გაძნელდა... ამასთან ჯაშიაშვილი, როგორც უკვე ითქვა, მარტოდმარტო მუშაობს მშვილდოსნებთან. ალბათ კარგი იქნებოდა გამოძებნილიყო შტატი რომელიმე ახალგაზრდა მწვრთნელისათვის, რომელიც ამ ღვაწლმოსილი სპეციალისტის ხელმძღვანელობით იმუშავებდა და შემდგომში მის საქმეს გააგრძელებდა.

სოხუმში კარგა ხნის უმოქმედობის შემდეგ „ყინული დაიძრა“ — „დინამოს“ სტადიონზე გამოიყო მიწის მოზრდილი ნაკვეთი სასროლეთის მოსაწყობად, აფხაზეთის სპორტკომიტეტი ბაზის დროულად აშენებას გვპირდება. არჩევენ მწვრთნელებს. იმედია, ენერგიულად დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ.

აჭარის შესახებ კი თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იქ მართლაც სულ სხვა მდგომარეობაა. პირველ ყოვლისა „კოლმეურნის“ საოლქო საბჭოს სასროლეთს ვგულისხმობთ. ისეთი პირობები, როგორიც ანგისის ბაზაზეა (ხელვაჩაურის რაიონი). თბილისელ სპორტსმენებსაც სანატრელი აქვთ. საქართველოს ნაკრები გუნდის კანდიდატთა შორის თბილისის მშვილდოსნების გარდა მხოლოდ აჭარის სპორტსმენები არიან. სასროლეთზე ძირითადად ორი მწვრთნელი მუშაობს — ამირან შოუა და გურამ ბასილაძე.



რუსუდან მოდებაძე.



შალვა წიბლიაშვილი.

თბილისში რაიონებთან შედარებით მშვილდოსანიც ბევრია და მშვილდოსანთა მწვრთნელიც. ოღონდ ესაა, სავარჯიშოდ ერთადერთი „ბაზა“ აქვთ— „ლოკომოტივის“ სტადიონზე მდებარე სასროლეთი. ამ „ბაზის“ ნაკლოვანებებზე ათასჯერ დაიწერა და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ იმედად ვიტოვებთ, რომ დასახელებულ სტადიონზე დაწყებული რეკონსტრუქცია მალე მშვილდოსანთა სექტორშიც გადმოინაცვლებს. ახლა კი სარბიელზე გამოსული მშვილდოსნები მუდამ იმის შიშში არიან, რომ იქვე მდებარე საფეხბურთო მინდვრიდან ბურთი არ გაღმოვარდეს... წვიმიან ამინდში კი იქ ვარჯიში საერთოდ შეუძლებელი ხდება.

ბოლოს კი ისევ შეჯიბრებას დავუბრუნდეთ. უნდა ითქვას, რომ ქალიშვილებმა შედეგების მიხედვით აშკარად „დაჩაგრეს“ ვაჟები. სპარტაკიადის ჩემპიონმა, თბილისელმა რუსუდან მოდებაძემ („შრომითი რეზერვები“, მწვრთნელი ალექსანდრე მეჟევაძე) მ-2 ვარჯიშში 2539 ქულა მოაგროვა. ეს მხოლოდ ერთი ქულით ნაკლებია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივზე. კარგი შედეგები აჩვენეს მისმა თანაგუნდელმა ლია მაჩაბლიშვილმა (2506) და აჭარის წარმომადგენელმა ნაზი დიასამიძემ („კოლმეურნე“) — 2470. უნდა აღინიშნოს, რომ მოდებაძე და მაჩაბლიშვილი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატები არიან. გუნდში არიან პერსპექტიული მშვილდოსნები. მაგალითად 14 წლის ნატო ნასარიძემ 2345 ქულა მოაგროვა, მასზე ცოტა უფროსმა როსიტა ანთიამ—2305 (სპორტის ოსტატის ნორმატივი 2300 ქულაა). ვაჟებში სპორტის ოსტატის ნორმატივი ორმა სპორტსმენმა შეასრულა: გამარჯვებულმა, ზუგდიდელმა მშვილდოსანმა შალვა წიბლიაშვილმა (მწვრთნელი გივი დავითაშვილი) — 2306 ქულა და შეჯიბრების მეორე პრიზიორმა, თბილისელმა ლაშა შავერზაშვილმა (ასკ) — 2313. მესამე ადგილზე გავიდა არმიელი სპორტსმენი კახა ძნელაძე — 2293.

ჩვენი გუნდის ხელმძღვანელები ფიქრობენ, რომ საქართველოს მშვილდოსნები რვა საუკეთესო კოლექტივს შორის უნდა მოხვდნენ და ერთ-ერთი მედალი უნდა მოიპოვონ. ვარაუდი უსაფუძვლო არ არის, მით უმეტეს, რომ ზემოთ ჩამოთვლილ სპორტსმენთა გარდა, ნაკრებს დაემატებიან ევროპის ორგზის ჩემპიონი იუნიორთა შორის ვადიმ რეშეტოვი და ირინა გრებენიკოვა.

თუმცა, ჯერჯერობით მთავარი ის არის, რომ ჩვენი მწვრთნელების, მათ შორის ნაკრების უფროსი მწვრთნელის იგორ გრებენიკოვის აზრით, გუნდის, სამზადისი, სპორტული შედეგების თანდათანობითი ზრდა, წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მექსიკური მოზაიკა

XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

● XIII მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში თავისებური რეკორდი დაამყარა კოლუმბიელმა მსაჯმა ხესუს დიას პალასიომ: ორივე გუნდის ფეხბურთელები მან რვაჯერ გააფრთხილა, ორი კი მინდვრიდან გააძევა. სხვათა შორის, სწორედ ამ მსაჯმა, გათამაშების პირველ ეტაპზე ბელგიისა და ერაყის გუნდების მატჩში, 6 გაფრთხილება გამოიტანა და ერთი ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევა.

● 13 ივნისს მატჩში ურუგვაისა და შოტლანდიის გუნდებს შორის ფრანგმა არბიტრმა ჟოელ კინიუმ მინდვრიდან 53-ე წამზე გააძევა ურუგვაელი ფეხბურთელი ბატისტა. ალბათ, ესეც თავისებური მსოფლიო რეკორდია.

● ყოფილი მსოფლიო ჩემპიონების, იტალიელი ფეხბურთელების სამშობლოში დაბრუნებამ პრაქტიკულად შეუმჩნევლად ჩაიარა. აეროპორტში სულ რამდენიმე გულშემატკივარი იყო თავმოყრილი და გაცილებით უფრო მეტი — პოლიციელი. გულშემატკივრებმა ასე მიმართეს თავიანთ ფეხბურთელს დი ჯენაროს: „შენ ერთადერთი ცოცხალი არსება იყავი ამ მკვდრებს შორის".

● გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების ოთხი ფეხბურთელი — აუგენტალერი, იაკობსი, შტაინი და ჰენესი—მხოლოდ დილით გამოცხადდნენ ქ. კერეტაროს სასტუმროში, სადაც დასავლეთგერმანელთა გუნდი ცხოვრობდა. ჟურნალისტებმა ეს ამბავი წამსვე შეიტყვეს და გუნდის უფროს მწვრთნელს ფ. ბეკენბაუერს მისცვივდნენ. ბეკენბაუერმა მოკლედ განუცხადა ჟურნალისტებს: ეს გუნდის კერძო საქმეა, რეჟიმის დამრღვევებს ჩვენ თვითონ მოველაპარაკებით...

● ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ პასადენაში (კალიფორნიის შტატი) 27 ივლისს შედგება ფეხბურთის ვარსკვლავთა ამხანაგური მატჩი, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცემა მექსიკაში მომხდარი მიწისძვრის გამო დაზარალებულ ბავშვთა დახმარების ფონდს. — ასე განაცხადა მეხიკოში გამართულ პრესკონფერენციაზე ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. ავლანჟმა. ერთ გუნდში იქნებიან მხოლოდ ლათინური ამერიკის ქვეყნების ფეხბურთელები, ხოლო მეორეში — მთელი დანარჩენი მსოფლიო. მინდორზე გამოვლენ მარადონა და ვალდანო (არგენტინა), ზიკო (ბრაზილია), სანჩესი (მექსიკა), რუმენიგე და ბრიგელი (გფრ), პლატინი (საფრანგეთი), ბუტრაგენიო (ესპანეთი), ლინეკერი (ინგლისი) და სხვანი.

ლათინური ამერიკის გუნდს მოამზადებენ ა. ბილარდო (არგენტინა) და ბ. მილუტინოვიჩი (მექსიკა), ხოლო ევროპელებს — ფ. ბეკენბაუერი (გფრ) და ი. კრუიფი (ჰოლანდია).

● ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პელემ საფრანგეთის გუნდის კაპიტანს მიშელ პლატინის „ფეხბურთის იმპერატორი" უწოდა. მან აღნიშნა, რომ ბოლო წლების მანძილზე საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონობისთვის ყალიბდებოდა და, ალბათ, მექსიკაში მიაღწევს დასახულ მიზანს.

● მსოფლიო ჩემპიონატის საბოლოო შედეგები ჯერ შეჯამებული არაა, მაგრამ სსრ კავშირის ნაკრებს წინასწარ აკუთვნებენ მე-10 ადგილს: ორი გამარჯვება, ერთი ფრე, ერთი წაგება. საბჭოთა ფეხბურთელებმა 12 ბურთი გაიტანეს და 5 გაუშვეს. ბოლო, 24-ე ადგილი დაიკავა კანადის გუნდმა, რომელმაც პირველი ეტაპის სამივე მატჩი წააგო, ვერც ერთი ბურთი ვერ გაიტანა და 5 გაუშვა. ყოფილი მსოფლიო ჩემპიონები იტალიელები მე-12 ადგილზე არიან მაროკოელთა შემდეგ.

● შვეციის სტატისტიკური სამსახურის მონაცემებით, ჩემპიონატის მატჩების ტელეტრანსლაცია ბევრი ოჯახის ცხოვრებასა და ოჯახის წევრთა ურთიერთობაზე უარყოფითად მოქმედებს. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ივნისში ტელეგადაცემების 60 საათი ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატმა „ჩაყლაპა". ქალთა პროტესტს მამაკაცები საკმაოდ მშვიდად შეხვდნენ: „ტელევიზია იმიტომ არსებობს, რომ ზოგჯერ ჩვენც გაგვიწიოს ანგარიში" — აცხადებენ ისინი.

● დიეგო მარადონას აზრით, საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ მაღალი სისწრაფის გამოყენებით შეიძლება. ფრანგებს, მისი თქმით, ნელი თამაში უყვართ. გამონაკლისია მხოლოდ ლუის ფერნანდესი და მანუელ ამორო. პლატინი მარადონას ფიზიკურად მოუმზადებელი ეჩვენება. თანაც, ფრანგების მთავარი გამთამაშებელი, მისი აზრით, ძნელად იტანს სიმაღლეს და ადგილობრივ პირობებთან შეგუება უჭირს.

# სოკრატესმა უკან დაიხია

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის კაპიტნის სოკრატესის სენსაციურმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ არბიტრები მის ქვეყანას და მექსიკას ყოველმხრივ ხელს უწყობენ და მსოფლიო ჩემპიონატი სულ უფრო მეტად ემსგავსება კომერციულ ღონისძიებას, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ჟურნალისტებმა სოკრატესის სიტყვები უმალ აიტაცეს და ურთიერთსაწინააღმდეგო კომენტარებით შეალამაზეს, რამაც ბრაზილიის ფეხბურთის ხელმძღვანელთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია.

ამ გართულებულ ვითარებაში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ თავი ვალდებულად ჩათვალა პოზიცია გაერკვია. გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა განაცხადა, რომ საქმის ოფიციალური გამოძიება უახლოეს დღეებში დაიწყებაო: „სოკრატესის მიერ წამოყენებული ბრალდება იმდენად მძიმეა, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება".

ბლატერის სიტყვებმა ყველაზე მეტად შეაშფოთა ბრაზილიის ფეხბურთის მესვეურნი, რომელთაც, ცხადია, ფიფა-სთან კონფლიქტი ხელს არ აძლევთ. გენერალური მდივნის გამოსვლას სხვებზე ადრე ბრაზილიის დელეგაციის ერთ-ერთი ოფიციალური წარმომადგენელი ლუკაშ ნეტო გამოეხმაურა. მან თქვა: „სოკრატესის ინტერვიუ წმინდა წყლის სპეკულაციაა და ჟურნალისტთა მონაჭორი. ბრაზილიელმა ფეხბურთელმა მხოლოდ იმას გაუსვა ხაზი, რომ მსოფლიო ფეხბურთს კომერციალიზაცია ემუქრება".

მერე უფრო ვრცელი კომენტარით ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნაბი შედიდი გამოვიდა: „ჩვენ და მექსიკას არავინ არ გვეხმარება. მტკნარი სიცრუეა ყველაფერი, რასაც გვაბრალებენ. სოკრატესის სიტყვები ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ცილისწამებაა, არა მგონია მას მართლაც ეთქვას ეს. ბრაზილია ფიფა-ს ყველა გადაწყვეტილებას მხარს უჭერს და მის პრინციპების ერთგულია".

ბრაზილიელები ყოველმხრივ ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს სერიოზული არაფერი მომხდარა. მაგრამ რამდენიმე მკაცრი პროფილაქტიკური ღონისძიება მაინც ჩაატარეს. კერძოდ, ნაკრების წევრებს ჟურნალისტებთან საუბარი სხვა თემაზე (ფეხბურთის გარდა) კატეგორიულად აეკრძალათ. ვინც ამ წესს დაარღვევს, გუნდიდან გაირიცხება. ასეთმა მკაცრმა სასჯელმა, ფეხბურთელები, ცხადია, დააშინა. ალბათ ეს იყო მიზეზი სოკრატესის ახალი განცხადებისა: „ჟურნალისტებმა არასწორად გამიგეს. არბიტრთა გულწრფელობასა და სამართლიანობაში ეჭვი არასდროს შემიტანია".

მაგრამ ამჯერად სოკრატესს აღარ დაუჯერეს. მეტიც, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის სანქციებმა უკმაყოფილებისა და აღშფოთების ახალი ტალღა გამოიწვია. რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთი გავლენიანი გაზეთის „გლობუს" აზრით, არავის არა აქვს უფლება ფეხბურთელს ლაპარაკი აუკრძალოს. „ფოლია დი სან-პაულუს" კორესპონდენტი კი აღნიშნავს, რომ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის გადაწყვეტილება კონსტიტუციის საწინააღმდეგო მოქმედებაა. ამის თაობაზე პარლამენტის დეპუტატმა ედუარდო სუპლისიმ მთავრობაში ოფიციალური პროტესტიც კი შეიტანა და ფედერაციის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებას „ბარბაროსული აქტი" უწოდა".

ამ ინციდენტის ასეთი გამწვავება არც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას აძლევს ხელს, ამიტომ მან ოფიციალურად განაცხადა, რომ ძიებას შეწყვეტს, როგორც კი სოკრატესისგან სათანადო ახსნა-განმარტებას მიიღებს. მეორე დღეს ფედერაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს თავის მაგიდაზე სოკრატესის წერილი და ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური განცხადება დახვდა. ამ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ „ბრაზილიელი ფეხბურთელის ნათქვამი ჟურნალისტებმა არასწორად გაიგეს, სოკრატესს ფიფა-სა და მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორთა მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვები არასოდეს დასცდენია".

თითქოს ყველაფერი გაირკვა, მაგრამ ჟურნალისტები მაინც იმუქრებიან: ამ თემას მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ უსათუოდ დავუბრუნდებითო.

მკითხველი — გაზეთი

## ვინ, სად, როდის?

### თბილისის დინამოელები მექსიკაში

◉ გვაინტერესებს ქართველ ფეხბურთელთაგან ვინ თამაშობდა 1970 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში და რამდენი შეხვედრა ჩაატარა ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა?

თ. ელიავა, ჯ. ბახტაძე.

— მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ხუთი ქართველი ფეხბურთელი გამოდიოდა. მათგან ერთი — ანზორ კავაზაშვილი მაშინ მოსკოვის „ტორპედოს" ღირსებას იცავდა, დანარჩენები კი — რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, კახი ასათიანი და გივი ნოდია თბილისის „დინამოს" წევრები იყვნენ.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ჯგუფური ტურნირი ასე ჩაატარა: მექსიკასთან — 0:0 (თბილისის დინამოელთაგან თამაშობდნენ ასათიანი, ნოდია), ბელგიასთან — 4:1 (ძოძუაშვილი, ასათიანი, ხურცილავა), სალვადორთან — 2:0 (ძოძუაშვილი, ხურცილავა, ასათიანი). მეოთხედფინალში საბჭოთა ფეხბურთელები ურუგვაელებმა დამატებით დროში დაამარცხეს 1:0 (ძოძუაშვილი, ხურცილავა, ასათიანი).

### ჩოხელი დუბინსკის ნაცვლად

◉ ძვირფასო რედაქცია! გვაინტერესებს უთამაშია თუ არა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელს გივი ჩოხელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში და თუ უთამაშია, როდის, რომელ ჩემპიონატში, გამოდიოდა თუ არა მაშინ ნაკრებში თბილისის „დინამოს" სხვა რომელიმე წარმომადგენელი?

გივი ჯორჯაძე, შოთა ბაკურაძე.

— გივი ჩოხელი 1962 წლის მსოფლიოს VII ჩემპიონატის მონაწილეა. პირველ მატჩში იუგოსლავიასთან იგი არ გამოსულა, მაგრამ იმ დღეს, უფრო ზუსტად 31 მაისს არიკაში მძიმე ტრავმა მიიღო მცველმა დუბინსკიმ და მომდევნო შეხვედრაში კოლუმბიელებთან გუნდის ღირსებას უკვე ჩოხელი იცავდა. ჩოხელმა ჯგუფური ტურნირის მესამე მატჩშიც ითამაშა (ურუგვაისთან) და მეოთხედფინალშიც, ჩილის ნაკრებთან. ამის შემდეგ ჩვენი გუნდი, როგორც ცნობილია, გათამაშებას გამოეთიშა.

ქართველ ფეხბურთელთაგან ჩილის ჩემპიონატში მესხი და მეტრეველიც გამოდიოდნენ, მაგრამ ეს უკანასკნელი მაშინ ჯერ კიდევ მოსკოვის „ტორპედოში" თამაშობდა.



ფოტოზე სსრ კავშირი—იუგოსლავიის ფეხბურთელთა შეხვედრის ის მომენტია აღბეჭდილი, როცა დუბინსკიმ ტრავმა მიიღო. მსაჯმა დუშმა (გფრ) შეაჩერა თამაში და ექიმი გამოიძახა. მარჯვნივ დგას სლავა მეტრეველი.

### „საუკუნის მატჩი"

◉ ძვირფასო რედაქცია! უფროსებისგან გაგვიგია, რომ ჩვენი სახელოვანი მეკარე ლევ იაშინი მსოფლიოს ნაკრების ღირსებას იცავდა. შეეფერება თუ არა ეს სინამდვილეს და თუ შეეფერება ვის ეთამაშა მსოფლიო ნაკრები, ვინ იცავდა ამ გუნდის ღირსებას.

გ. ხოშტარია, ნ. წერეთელი.

— 1963 წელს ლევ იაშინმა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მწვრთნელის რიერასაგან წერილი მიიღო მსოფლიოს ნაკრებში მოწვევის თაობაზე. სახელდახელოდ შეკრებილ „ვარსკვლავთა" გუნდს ინგლისის ეროვნულ ნაკრებთან უნდა ეთამაშა. ამ მატჩს, რომელიც 1963 წლის 23 ოქტომბერს ლონდონში, „უემბლის" სტადიონზე ჩატარდა, „საუკუნის მატჩი" უწოდეს. გამარჯვება ინგლისელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს — 2:1. იაშინმა შეხვედრის მეორე ნახევარში იუგოსლავიელი შოშკიჩი შეცვალა. მსოფლიო ნაკრების ღირსებას იცავდნენ: შოშკიჩი (იუგოსლავია), ეუსებიო (პორტუგალია), ჯალმა სანტოსი (ბრაზილია), პუშკაში (ესპანეთი), შნელინგერი, ზეელერი (ორივე — გფრ), მასოპუსტი, პოპლუხარი, პლუსკალი (ორივე — ჩეხოსლოვაკია), ბაქსტერი, ლოუ (ორივე — შოტლანდია), დი სტეფანო, ჰენტო (ორივე — ესპანეთი), კოპა (საფრანგეთი), ეისაგუირე (ჩილი). მიმომხილველთა აზრით მას შემდეგ მსოფლიოს ასეთი ძლიერი ნაკრები არ შემდგარა.

სურათზე: 1963 წლის მსოფლიოს ნაკრები. პირველ რიგში (მარცხნიდან )— კოპა, ლოუ, დი სტეფანო, ეუსებიო, ჰენტო, ზეელერი. დგანან (მარცხნიდან)— პუშკაში, ჯალმა სანტოსი, პოპლუხარი, იაშინი, პლუსკალი, შნელინგერი, შოშკიჩი, მასოპუსტი, ეისაგუირე, ბაქსტერი.



გთავაზობთ „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტის დავით კაკაბაძის ფოტორეპორტაჟს მექსიკიდან



5 ივნისს ლეონში ერთმანეთს ხვდებოდნენ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდები. სანამ მატჩი დაიწყებოდა, ჩემს გვერდით მჯდომ ერთ იაპონელ ჟურნალისტს ბინოკლი გამოვართვი და ტრიბუნების თვალიერება დავიწყე. მოულოდნელად ჩემი ყურადღება ნაცნობმა დროშამ მიიპყრო. კარგად რომ დავაკვირდი, თვალებს არ დავუჯერე: ვიღაც ორ გულშემატკივარს მზისგან თავის დასაცავად... თბილისის „დინამოს“ დროშა მოეხურა ზურგზე. ტელეობიექტივით მოვახერხე ამ დროშის ფირზე აღბეჭდვა, იმ მაყურებელთა ვინაობა კი ვეღარ დავადგინე. მარჯვენა ფოტო უკვე ამ მატჩის შემდეგ არის გადაღებული: მინდორს ტოვებენ მეტოქე გუნდების ვეტერანები ოლეგ ბლოხინი და მიშელ პლატინი, ქვედა ორ ფოტოზე აღბეჭდილია საფრანგეთ—უნგრეთის მატჩის მომენტები: მარცხნივ — ლაიოშ დეტარი ფრანგების კარში საჯარიმოს ურტყამს, მარჯვნივ — ბურთი აქვს ჟან ტიგანას.









# საქართველოს პირველობა

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XV ტურის შეხვედრები I ლიგის გუნდებს შორის.

## ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

**„კახეთი“ (თელავი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).**

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს თელაველი გ. როსტომაშვილი, ხოლო მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს მისი თანაგუნდელი ზ. ჯაშიაშვილი.

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 0:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).**

ამ მატჩში უდისციპლინოდ იქცეოდნენ ყვარლელი ფეხბურთელები: მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ხ. მინდიაშვილი, ხოლო უხეში თამაშისთვის — ო. ოსაძე.

**„მადნეული“ (ბოლნისი) —„იმედი“ (თბილისი) 3:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).** გოლები: ბეს. უგულავა-2, ქობულაძე („მადნეული“).

## ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 4:0. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).** გოლები: რ. თუთბერიძე-3, სართანია („დინამო“).

**„იმერეთი“ (ქუთაისი) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:0. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: ხანთაძე, კვერნაძე („იმერეთი“).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:1. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).** გოლები: კაკუბავა („ამირანი“), ქავთარაძე („სამეგრელო“).

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:0. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).** გოლები: ჩიქობავა-2 („ეგრისი“).

ერთმანეთთან კამათისთვის გააფრთხილეს ცხაკაიელი კ. ალანია და თერჯოლელი რ. თაბაგარი.

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:0. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).** გოლი: ჩიგოგიძე („მერცხალი“).

განზრახ ბურთის გადაგდებისთვის გააფრთხილეს „სალხინოს“ ფეხბურთელი ჯ. ლაგვილავა.

**„სულორი“ (ვანი )— „შადრევანი“ (წყალტუბო) 4:0. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).** გოლები: გ. ვერულაშვილი-2, ორმოცაძე, ჯ. ვერულაშვილი („სულორი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ვანელი თ. გეფერიძე.

„შადრევანის“ ფეხბურთელი დ. ონიანი ჯერ გააფრთხილეს სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგდებისთვის, შემდეგ კი მინდვრიდან გააძევეს უხეში თამაშისთვის.

## II ლიგა

**ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ.** „განთიადი“ (კასპი) — „სიონი“ (დმანისი) 3:1, „მუხნარი“ (მუხრანი) — „აკრიანი“ (მარტყოფი) 2:1, „შირაქი“ (წითელი წყარო) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 4:5, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „სამგორი“ (გარდაბანი) 3:0, არაგვი“ (დუშეთი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „თრიალეთი“ (წალკა) 0:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „კოლმეურნე“ (მარნეული 0:0, „ალგეთი“ (მარნეული) — „იმედი“ (რუსთავი) 1:2.

**ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲝᲜᲐ.** „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) — „დილა“ (წულუკიძე) 1:0, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „მესხეთი“ (ახალციხე) 4:2, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „კოლმეურნე“ (ტყიბული) 2:0, „ვარძია“ (ასპინძა) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 4:2, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ზარზმა“ (ადიგენი) 2:2.

**ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ.** „დინამო“-2 (ბათუმი) — „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) 2:3, „კოლმეურნე “(გაგრა) — „ზანა“ (აბაშა) 2:0, „მზიური“ (გალი) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 6:3, „კოლხეთი“ (ხობი)— „სუბტროპიკი“ (სოხუმი) 4:2, „ნარინჯი“ (ქობულეთი) — „კოლხეთმშენი“ (ფოთი) 3:1.

## SOS

**რესპუბლიკის საფეხბურთო პირველობის ამასწინანდელ მიმოხილვაში სიამოვნებით აღვნიშნეთ, რომ ჩვენს გუნდებში თანდათან მკვიდრდება წესრიგი და დისციპლინა, თითქმის აღარ არის გაძევებები, საგრძნობლად მოიკლო გაფრთხილებათა რაოდენობამ და შესაბამისი ციფრებითაც დავადასტურეთ ჩვენი საფეხბურთო ცხოვრების ეს სასიხარულო მოვლენები.**

**მაგრამ, თითქოს ამას უცდიდნენო, უკვე მომდევნო, XV ტურის მატჩებში კვლავ მკვეთრად მოიმატა დარღვევებმა, უდისციპლინობამ, უხეშობამ, ლანძღვა-გინებასა და კინკლაობას კვლავ მასობრივი ხასიათი მიეცა.**

**გამოცდილ სოხუმელ არბიტრს გ. გაბისკირიას გინებით მიმართა თელაველმა ფეხბურთელმა ზ. ჯაშიაშვილმა. განა არ იცის ზ. ჯაშიაშვილმა, რაც მოელის ამ ბილწსიტყვაობისთვის, იცის, კარგად იცის, მაგრამ იგი არ ეპუება არავის — არც მსაჯს, არც მაყურებლებს და ისე იქცევა, თითქოს, ქუჩაში ყოფილიყოს ხულიგნებთან ერთად.**

**ისეთი ფეხბურთელისთვის, როგორიც ზ. ჯაშიაშვილია, საუკეთესო წამალია ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია, რომელსაც იგი აუცილებლად მიიღებს.**

**არ დაერიდა არავის წყალტუბოელი დ. ონიანიც, რომელმაც ჯერ ყვითელი ბარათი დაიმსახურა სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის, შემდეგ კი უხეშად ეთამაშა მეტოქეს. თუკი დ. ონიანისთვის პრესისა და ფართო საზოგადოებრიობის შეგონებანი ჩირადაც არ ღირს და მგლის თავზე სახარების კითხვას აზრი აღარა აქვს, დ. ონიანი მკაცრად უნდა დაისაჯოს და დაისჯება კიდეც.**

## ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘ

**მდგომარეობა 25 ივნისისთვის**

### ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ | 14 | 10 | 2 | 2 | 27-11 | 22 |
| „შევარ.“-სპი | 12 | 8 | 1 | 3 | 31-14 | 17 |
| „მადნეული“ | 14 | 8 | 1 | 5 | 30-20 | 17 |
| „კახეთი“ | 13 | 7 | 3 | 3 | 21-18 | 17 |
| ფიზ. ინს. | 13 | 6 | 3 | 4 | 21-14 | 15 |
| „ქართლი“ | 14 | 6 | 3 | 5 | 9-11 | 15 |
| „დურუჯი“ | 14 | 6 | 3 | 5 | 11-17 | 15 |
| „სინათლე“ | 13 | 5 | 2 | 6 | 8-9 | 12 |
| „არმაზი“ | 13 | 4 | 3 | 6 | 19-22 | 11 |
| „იმედი“ | 14 | 2 | 6 | 6 | 9-19 | 10 |
| „ივერია“ | 13 | 4 | 1 | 8 | 14-19 | 9 |
| „სპარტაკი“ | 13 | 4 | 1 | 8 | 12-21 | 9 |
| ასკ თბ. | 12 | 1 | 1 | 10 | 5-22 | 3 |

### ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ ზ. | 14 | 9 | 1 | 4 | 37-18 | 19 |
| „მერცხალი“ | 14 | 8 | 1 | 5 | 21-9 | 17 |
| „სამეგრელო“ | 14 | 7 | 3 | 4 | 18-11 | 17 |
| „სალხინო“ | 14 | 7 | 3 | 4 | 21-15 | 17 |
| „დინამო“ გ. | 13 | 7 | 2 | 4 | 23-19 | 16 |
| „სქური“ | 14 | 6 | 2 | 6 | 16-25 | 14 |
| „ეგრისი“ | 14 | 5 | 4 | 5 | 18-21 | 14 |
| „ამირანი“ | 14 | 6 | 1 | 7 | 16-23 | 13 |
| „შადრევანი“ | 13 | 6 | 0 | 7 | 22-21 | 12 |
| „საპოვნელა“ | 14 | 6 | 0 | 8 | 21-23 | 12 |
| „სულორი“ | 14 | 4 | 3 | 7 | 14-18 | 11 |
| „იმერეთი“ | 14 | 4 | 3 | 7 | 12-17 | 11 |
| „ბახმარო“ | 14 | 3 | 1 | 10 | 9-28 | 7 |

# ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ

**ᲮᲣᲗᲘ** წლის წინ იტალიის კალათბურთელ ქალთა კლუბებს უცხოელ სპორტსმენთა დაქირავების უფლება მისცეს. პირინეის ნახევარკუნძულს აშშ-ის პირველი პროფესიონალური ლიგის ბევრი „ვარსკვლავი“ ეწვია, მათ შორის ლოს-ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ლინეტ ვუდარდი, ჯენის ლოუბენსი, მედინა დიკსონი, კეროლ მენკენი, სინდი ნოუმელი.

უცხოეთის „ვარსკვლავებმა“ იტალიის კალათბურთელთა ეროვნული ჩემპიონატი სანახაობრივად საინტერესო და მიმზიდველი გახადეს.

მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე ამ ქვეყნის კლუბები ევროპის თასების გათამაშების ხუთ ფინალურ შეხვედრაში მონაწილეობდნენ და ორჯერ გაიმარჯვეს.

ამერიკელთა „აკლიმატიზაცია“ ევროპაში საკმაოდ სწრაფად და უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. იტალიურ ყოფას, ენასა და სამზარეულოს ყველა უცხოელი ადვილად შეეგუა. ამავე დროს ისინი საკმაოდ პრაქტიკული ყაიდის ადამიანები აღმოჩნდნენ. ზოგმა დამატებით მინი-კალათბურთის მწვრთნელის თანამდებობაც დაიკავა, ზოგი ინგლისური ენის მასწავლებელი გახდა, ზოგმა თავისი სპეციალობით დაიწყო სამსახური.

მაგრამ არ გეგონოთ უცხოელ „ვარსკვლავებს“ იტალიაში პრობლემები არ ჰქონდეთ. ახალ პირობებს განსაკუთრებით ძნელად შავკანიანი კალათბურთელები ეგუებიან. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ფორმალურად რასობრივი პრობლემები არ არსებობს, ფერადკანიანები თავს მაინც უხერხულად გრძნობენ. რასობრივი შეუთავსებლობის ფარული ფორმები კაპიტალისტურ ქვეყნებში მეტ-ნაკლებად ყველგან არსებობს.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

# „ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲦᲝᲜᲔᲐ“

**ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ** „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორის ავთანდილ ციბაძის წიგნი „მასობრივი სპორტი ერის ღონეა“. ეს არის სხვადასხვა დროს დაწერილი ნარკვევებისა და წერილების კრებული.

ავთანდილ ციბაძეს სპორტის მოყვარულები იცნობენ, როგორც ტურიზმისა და აქტიური დასვენების დაუღალავ პროპაგანდისტს, მასობრივი ტურისტული გასვლების ორგანიზატორს. მას ფეხით აქვს შემოვლილი მთელი საქართველო და წიგნში სწორედ ამ მოგზაურობების დროს მიღებულ შთაბეჭდილებებზე მოგვითხრობს. ყურადღებას ამახვილებს ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე, ამხელს ნაკლოვანებებს, გვესაუბრება მასობრივი სპორტის განვითარების ხელისშემშლელ მიზეზებზე. წიგნში რამდენიმე თავი ეთმობა სპორტსმენთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, სასკოლო და ბავშვთა სპორტს, საოჯახო ფიზკულტურას.



ვფიქრობთ, ავთანდილ ციბაძის ახალ წიგნს ინტერესით გაეცნობიან ფიზკულტურელები და სპორტსმენები, ისინი, ვინც ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის გაშლისთვის ზრუნვას თავის სისხლხორცეულ საქმედ მიიჩნევენ.

## ᲔᲚᲕᲐ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

**ᲕᲘᲜ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲜᲢᲐᲜᲐᲡ?**

**ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ.** ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა ნაბი აბი შედიდმა განაცხადა, რომ ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობა შესთავაზეს პაოლო რობერტო ფალკაოს, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში დამარცხებული გუნდის ნახევარმცველს, რომელიც თავს ანებებს აქტიურ სპორტს. „თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია“ — დასძინა შედიდმა.

## ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ

**ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ.** **26 ივნისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ნახევარფინალური მატჩი: არგენტინა — ბელგია — **10.00 (1);** არგენტინა — ბელგია — **23.00 (1);** რიტმული ტანვარჯიში — **19.00 (2);**

**27 ივნისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში — **10.35 (2).**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ.** **26 ივნისი.** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: არგენტინა — ბელგია — **10.00;** არგენტინა — ბელგია — **23.00.**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ.** **26 და 27 ივნისი.** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში — **9.15;** რიტმული ვარჯიში — **11.40.**

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.**

ინდექსი: 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას ქ., 29. უე 07541